ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 ივლისის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 ივლისის რიგგარეშე სხდომის
ოქმი N 13

2021 წლის 28 ივლისი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა

#15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

პაატა გოგოლაძე, გივი თხელიძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, იამზე პაქსაშვილი,ეკატერინე შველიძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, იუზა კელენჯერიძე,ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, სულ 19 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

მაია ალავიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. ბაბლიძე- მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ს. გლუნჩაძე- ოპერატორი.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 19 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე **(თან ერთვის).**

აზრი გამოთქვეს:

ი. კელენჯერიძემ რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და მხარი დაუჭირეთ წარმოდგენილ ცვლილებებს.

ჯ. გამცემლიძემ, რომელმაც მომხსენებელს დაუსვა კითხვა თუ ვინ დაფინანსდა რელიგიის კუთხით გამოყოფილი თანხით.

ვ. გელაშვილმა უპასუხა, რომ ხელშეკრულების თანახმად ეს თანხა გადაეცემა რელიგიის სააგენტოს და მისი გადაწყვეტილებით მოხდება ხარჯვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი მუხლობრივად:

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ჯარიმების გეგმა შემცირდეს 402,8 ათასი ლარით და დაგეგმილი 1050. 0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 647,2 ათასი ლარით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 19 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსავლები და ხარჯები გაიზარდოს 605,0 ათასი ლარით და დაფინანსდეს ახალი ვალდებულებები:

-გზების კაპიტალური შეკეთებაზე - 120,0 ლარი;

-გზების მიმდინარე შეკეთებაზე - 180,0 ათასი ლარი;

-სასმელი წყლის უზრუნველყოფაზე - 100,0 ათასი ლარი;

-გარე განათების ახალი წერტილების მოწყობაზე - 30,0 ათასი ლარი ა(ა)იპ

-დასუფთავების ადა კეთილმოწყობის გაერთიანებას (დან N 4)

-კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე - 10,0 ათასი ლარი, (პროექტის დოკუმენტაციის მომზადება და თანადაფინანსება) დაბა ხარაგაულში

-დევების ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილატაციისათვის საქართველოს რეგ. განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული პროგრამაში ჩასართავად - პროექტის ღირებულება 300,0 ათასი ლარი. (დან. N 5)

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 19 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი რელიგიის ხარჯები გაიზარდოს 15,0 ათ. ლარით

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 19 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი სოციალური დაცვის ხარჯები გაიზარდოს 150,0 ათასი ლარით,

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 19 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 16 919. 9 ათ ლარი გაიზარდოს 666,2 ათ. ლარით და განისაზღვროს 17 586,1 ათ. ლარით.**

შემოსულობების ზრდის წყაროა გადასახადების ხარჯზე შემოსავლების გეგმების გაზრდა 605,0 ათ. ლარით, (გადასახადები გაიზარდა 1007,8 ათ. ლარით და სხვა შემოსავლები (ჯარიმები) შემცირდა 402,8 ათ. ლარით) და მიზნობრივი ტრანსფერის გაზრდა 61.2 ათ. ლარით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 19 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 20 803. 5 ათ. ლარი გაიზარდოს 666,2 ლარით და განისაზღვროს 21 469,7 ათ. ლარით.**

გადასახდელები შესაბამისად გაიზარდა გადასახადებისა და მიზნობრივი ტრანსფერის გეგმების გაზრდის გამო.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 19 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**